

შპს აბწე

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

3

სრული შემოსავლის ანგარიშგება

4

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

6

განმარტებითი შენიშვნები

6-26

შპს ამწე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8 481 524	4 621 687
საინვესტიციო ქონება	-	-
	8 481 524	4 621 687
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1 690 526	1 698 998
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3 501 899	3 070 688
მარაგები	2 241 142	3 035 381
სხვა მიმდინარე აქტივი		-
	7 433 567	7 805 066
მთლიანი აქტივები	15 915 090	12 426 753
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	402 100	7 100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 620 655	1 573 991
	2 022 755	1 581 091
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	2 182 410	1 001 487
	2 182 410	1 001 487
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	4 814 349	3 603 396
გადავადებული შემოსავალი	416 762	336 697
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6 390 741	5 545 464
საგადასახადო ვალდებულებები	68 577	358 618
გადასახდელი პროცენტი	19 496	-
	11 709 925	9 844 175
მთლიანი ვალდებულებები	13 892 335	10 845 662
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	15 915 090	12 426 754

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს.
დირექტორი:

შპს ამწე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	8 481 524	4 621 687
საინვესტიციო ქონება	-	-
	8 481 524	4 621 687
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1 690 526	1 698 998
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3 501 899	3 070 688
მარაგები	2 241 142	3 035 381
სხვა მიმდინარე აქტივი	-	-
	7 433 567	7 805 066
მთლიანი აქტივები	15 915 090	12 426 753
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	402 100	7 100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 620 655	1 573 991
	2 022 755	1 581 091
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	2 182 410	1 001 487
	2 182 410	1 001 487
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	4 814 349	3 603 396
გადავადებული შემოსავალი	416 762	336 697
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6 390 741	5 545 464
საგადასახადო ვალდებულებები	68 577	358 618
გადასახდელი პროცენტი	19 496	-
	11 709 925	9 844 175
მთლიანი ვალდებულებები	13 892 335	10 845 662
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	15 915 090	12 426 754

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს.

დირექტორი:



შპს ამწე
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	22 895 677	19 064 920
თვითღირებულება	(20 555 052)	(16 500 825)
საერთო მოგება	2 340 626	2 564 095
სხვა შემოსავლები	273 137	435 864
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(1 254 542)	(1 251 147)
მიწოდების დანახარჯები	(103 908)	(106 811)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	1 268 606	327 243
სხვა ხარჯები	(850 138)	(551 702)
საოპერაციო მოგება	1 673 779	1 417 543
ფინანსური შემოსავალი	2 472	194
ფინანსური ხარჯი	(825 487)	(563 219)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(823 016)	(563 024)
მოგება დაბეგვრამდე	850 764	854 518
მოგების გადასახადი		
პერიოდის მოგება	850 764	854 518
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	850 764	854 518

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს.

დირექტორი:

შპს ამწე
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	22 895 677	19 064 920
თვითღირებულება	(20 555 052)	(16 500 825)
საერთო მოგება	2 340 626	2 564 095
სხვა შემოსავლები	273 137	435 864
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(1 254 542)	(1 251 147)
მიწოდების დანახარჯები	(103 908)	(106 811)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	1 268 606	327 243
სხვა ხარჯები	(850 138)	(551 702)
საოპერაციო მოგება	1 673 779	1 417 543
ფინანსური შემოსავალი	2 472	194
ფინანსური ხარჯი	(825 487)	(563 219)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(823 016)	(563 024)
მოგება დაზღვრამდე	850 764	854 518
მოგების გადასახადი		
პერიოდის მოგება	850 764	854 518
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	850 764	854 518

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს.

დირექტორი:



შპს ამწე

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	850 764	854 518
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	1 910 099	1 115 149
- ცვეთა	377 935	439 821
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	798 237	463 355
- მარაგების გაუფასურება		62 948
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(91 560)	(414 194)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	825 487	563 219
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	998 329	442 808
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(431 211)	(1 372 661)
- მარაგები	794 239	162 798
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	845 276	1 570 483
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(290 040)	358 618
- გადავადებული შემოსავალი	80 065	(276 430)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	3 759 192	2 412 475
- მიღებული პროცენტი		
- გადახდილი პროცენტები	(805 991)	(565 720)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2 953 201	1 846 755
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(4 237 771)	471 262
- კაპიტალის ზრდა	395 000	
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	91 560	414 194
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3 751 212)	885 455
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- სასესხო ვალდებულების ზრდა	11 277 582	6 132 748
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(9 683 943)	(7 054 471)
- გადახდილი დივიდენდები	(804 100)	(879 974)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	789 540	(1 801 697)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(8 471)	930 514
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	1 698 998	768 484
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	1 690 526	1 698 998

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს.

დირექტორი:

შპს ამწე

ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	850 764	854 518
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	1 910 099	1 115 149
- ცვეთა	377 935	439 821
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	798 237	463 355
- მარაგების გაუფასურება		62 948
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(91 560)	(414 194)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	825 487	563 219
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	998 329	442 808
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(431 211)	(1 372 661)
- მარაგები	794 239	162 798
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	845 276	1 570 483
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(290 040)	358 618
- გადავადებული შემოსავალი	80 065	(276 430)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	3 759 192	2 412 475
- მიღებული პროცენტი		
- გადახდილი პროცენტები	(805 991)	(565 720)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2 953 201	1 846 755
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(4 237 771)	471 262
- კაპიტალის ზრდა	395 000	
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	91 560	414 194
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3 751 212)	885 455
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- სასესხო ვალდებულების ზრდა	11 277 582	6 132 748
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(9 683 943)	(7 054 471)
- გადახდილი დივიდენდები	(804 100)	(879 974)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	789 540	(1 801 697)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(8 471)	930 514
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	1 698 998	768 484
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	1 690 526	1 698 998

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს.

დირექტორი:

შპს აშწე

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	7 100	2 139 029	2 146 129
მოგება წლის ბოლოს		(434 722)	(434 722)
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის სრული შემოსავალი	7 100	1 704 306	1 711 406
გაცემული დივიდენდი		(101 548)	(101 548)
2020 წლის 31 დეკემბერი	7 100	1 602 758	1 609 858
მოგება წლის ბოლოს		854 518	854 518
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის სრული შემოსავალი	7 100	2 457 277	2 464 377
გაცემული დივიდენდი		(879 974)	(879 974)
წინა წლების კორექტირება		(3 312)	(3 312)
2021 წლის 31 დეკემბერი	7 100	1 573 991	1 581 091
კაპიტალის ზრდა/შემცირება	395 000		395 000
მოგება წლის ბოლოს		850 764	850 764
სხვა სრული შემოსავალი			-
პერიოდის სრული შემოსავალი	402 100	2 424 755	2 826 855
გაცემული დივიდენდი		(804 100)	(804 100)
წინა წლების კორექტირება			-
2022 წლის 31 დეკემბერი	402 100	1 620 655	2 022 755

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს.

დირექტორი:

შპს ამწე

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	7 100	2 139 029	2 146 129
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი		(434 722)	(434 722)
პერიოდის სრული შემოსავალი	7 100	1 704 306	1 711 406
გაცემული დივიდენდი		(101 548)	(101 548)
2020 წლის 31 დეკემბერი	7 100	1 602 758	1 609 858
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი		854 518	854 518
პერიოდის სრული შემოსავალი	7 100	2 457 277	2 464 377
გაცემული დივიდენდი		(879 974)	(879 974)
წინა წლების კორექტირება		(3 312)	(3 312)
2021 წლის 31 დეკემბერი	7 100	1 573 991	1 581 091
კაპიტალის ზრდა/შემცირება	395 000		395 000
მოგება წლის ბოლოს სხვა სრული შემოსავალი		850 764	850 764
პერიოდის სრული შემოსავალი	402 100	2 424 755	2 826 855
გაცემული დივიდენდი		(804 100)	(804 100)
წინა წლების კორექტირება			-
2022 წლის 31 დეკემბერი	402 100	1 620 655	2 022 755

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს.

დირექტორი:



შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ამწე შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თელავის რაიონი, სოფ. წინანდალი, მე-15 ქ., N 11. საქმიანობის ძირითადი ადგილი არის გიორგი სააკაძის დაღმართი N26 . მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ამწეების, დგარებისა და მასთან დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაცია, აგრეთვე ამწეებისა და დგარების საოპერაციო იჯარით გადაცემა, მონტაჟისა და დემონტაჟის მომსახურება.

კომპანიის დირექტორია აკაკი ნარმანია

კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- 10/06/2016 – 29/01/2019 პერიოდში: აკაკი ნარმანია - 100%;
- 30/01/2019 – 12/04/2022: აკაკი ნარმანია - 50%; შოთა ქობალაია - 50%
- 12/04/2022 - დან ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის შოთა ქობალაია - 100%.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირველადი გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/ 1 ევრო	2.8844	3.5040

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შემენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

მანქანა-დანადგარები	10 პროცენტი
ოფისის აღჭურვილობა	25 პროცენტი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20-35 პროცენტი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება ის ქონებაა, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო გადასახადის გამოსამუშავებლად ან/და კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად უნდა აღიაროს თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯისა და ძალისხმევის გარეშე საწარმომ ეს აქტივი უნდა აღრიცხოს როგორც ძირითადი საშუალება, სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი რეალიზაციის შემთხვევაში, ან თუ საინვესტიციო ქონების ექსპლუატაცია წყდება და რეალიზაციიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაგარაუდევო აღარაა. ქონების აღიარების შეწყვეტისას წარმოშობილი მოგება ან ზარალი (რომელიც ითვლება რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავლისა და აქტივის საბალანსო ღირებულების სხვაობა) შედის აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგება-ზარალში.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ესტონური მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. მოგების გადასახადით ასევე, იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, ხარჯები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზების საფუძველზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო თანხით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოვლენული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

საწარმო იყენებს თვითღირებულების განსაზღვრის საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ

აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ზ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

ავანსები

ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის

შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება პარტნიორთა გადაწყვეტილებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება ადგილზე დადგენილი საპროცენტო ხარჯისგან, გაცემული სესხით გაგმომუშავებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დადგენილი საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება ადგილზე სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დადგენილი წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებულია მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმოს მიმდინარე ვალდებულებები 1.58-ჯერ აღემატება მიმდინარე აქტივებს. კომპანიის მენეჯმენტი აქტიურ მუშაობას ახორციელებს ლიკვიდურობის კუთხით გაუარესებული მდგომარეობის დაძლევის მიმართულებით, კერძოდ პოტენციურ კლიენტთან მოლაპარაკებებს აწარმოებს გრძელვადიანი აქტივის (64 329 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწა) რეალიზაციასთან დაკავშირებით. აღნიშნულილ აქტივის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები მთლიანად მიემართება მიმდინარე სასესხო ვალდებულებების დასაფარავად.

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ეჭვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური

სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება გამოყენებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზე დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს კომპანიაში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა	დაუმთავრ ებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარ ები	ლიზინგით მიღებული მანქანა- დანადგარები	ავიჯი, ოფისის აღჭურვილ ობა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ლიზინგით მიღებული სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2020	58 771		399 551	2 184 012	3 589 989	80 506	93 606	37 408	6 443 843
შემოსვლა		68 648		769 897	159 733	18 373	18 165	94 261	1 129 076
გადაფასება									-
გასვლა				(497 102)	(1 188 877)			(18 165)	(1 704 145)
31 დეკემბერი 2021	58 771	68 648	399 551	2 456 807	2 560 845	98 879	111 771	113 504	5 868 775
შემოსვლა	4 244 106	14 683		2 001 863	1 379 194	63 912	94 293	61 461	7 859 512
გადაფასება									
გასვლა				(2 259 101)	(1 706 315)		(56 253)	(38 040)	(4 059 709)
31 დეკემბერი 2022	4 302 877	83 331	399 551	2 199 569	2 233 724	162 791	149 811	136 925	9 668 578
ცვეთა და გაუფასურება									
31 დეკემბერი 2020	-		-	(473 538)	(378 471)	(33 398)	(22 514)	(3 153)	(911 074)
პერიოდის ცვეთა				(245 350)	(240 137)	(12 686)	(15 265)	(5 510)	(518 948)
გაუფასურება									-
გასვლა				85 472	94 243			3 219	182 934
31 დეკემბერი 2021	-	-	-	(633 416)	(524 365)	(46 084)	(37 779)	(5 443)	(1 247 088)
პერიოდის ცვეთა				(270 089)	(163 798)	(16 110)	(19 219)	(12 051)	(481 267)
გაუფასურება									
გასვლა				188 956	349 505			2 840	541 301
31 დეკემბერი 2022	-	-	-	(714 549)	(338 658)	(62 194)	(56 998)	(14 654)	(1 187 054)
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2020	58 771		399 551	1 710 475	3 211 518	47 108	71 092	34 255	5 532 770
31 დეკემბერი 2021	58 771	68 648	399 551	1 823 391	2 036 479	52 794	73 992	108 060	4 621 687
31 დეკემბერი 2022	4 302 877	83 331	399 551	1 485 020	1 895 065	100 596	92 813	122 270	8 481 524

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: კლებადი ნაშთის მეთოდი
- 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული სასესხო და სალიზინგო ხელშეკრულების უზრუნველყოფას (შენიშვნა 10).
- მანქანა-დანადგარების კლასში განცალკევებულად არის გამჟღავნებული ლიზინგით აღებული მანქანა დანადგარების ოდენობა

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები

2022	2021
1,646	5,887
1,646	5,887

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2022	2021
1,688,880	1,693,111
1,688,880	1,693,111

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო

2022	2021
3,024,957	2,917,835
476,942	114,700
0	34,039
0	4,114
3,501,899	3,070,688

გადახდილი ავანსები

მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 19)

მოთხოვნა თანამშრომლის მიმართ

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

კომპანიის მიერ აღიარებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 2022 წელს შეადგენს 798,237 ლარს (2021 წელს 463,355 ლარი).

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მზა პროდუქცია

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2022	2021
2,145,817	2,879,250
95,325	156,131
2,241,142	3,035,381

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 19,218,931 ლარი (2021 წელს 15,077,498 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ მარაგების ნაწილი წარმოადგენს კომპანიის მიერ აღებული სასესხო ხელშეკრულების უზრუნველყოფას.

8. ფინანსური იჯარის ვალდებულებები და გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი

ფინანსური იჯარის ვალდებულება

გრძელვადიანი სესხი

სულ გრძელვადიანი

2022	2021
716,842	869,110
1,465,568	132,377
2,182,410	1,001,487

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

მოკლევადიანი

ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი

სულ მოკლევადიანი

სულ სესხები

875,917	810,112
3,938,432	2,793,284
4,814,349	3,603,396
6,996,759	4604,883

9. მოკლევადიანი სესხები

საწარმოს დამფუძნებელი ფიზიკური პირებისგან სესხი არ უფიქსირდება.

სულ სესხები

შპს ამწეს სასესხო ვალდებულებების ფარგლებში საკრედიტო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სს საქართველოს ბანკთან:

1. სესხის ხელშეკრულება - N7545118– 31.08.2021 – 11.09.2023 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 7.30 % - კრედიტის მოცულობა - 86 500 ევრო. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულ იქნა 2022 წლის 7 დეკემბერს.
2. სესხის ხელშეკრულება - N13883295 – 24.02.2021 – 24.02.2023 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 7.10% - კრედიტის თავდაპირველი მოცულობა - 119 000 ევრო, რომელიც თანხა სრულად წინსწრებით დაფარულ იქნა 2022 წლის 7 მარტს. აღნიშნული ხელშეკრულება განახლებულ იქნა 2022 წლის 7 მარტს და კრედიტის მოცულა განისაზღვრა როგორც 109 000 ევრო. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულ იქნა 2022 წლის 7 დეკემბერს.
3. სესხის ხელშეკრულება - N7545116 – 31.08.2021 – 11.03.2022 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 7.30 პროცენტი - კრედიტის მოცულობა - 23 300 დოლარი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულია 2022 წლის 11 მარტს.
4. სესხის ხელშეკრულება - N7545115 – 31.08.2021 – 11.03.2022 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 7.30 პროცენტი - კრედიტის მოცულობა - 38 500 ევრო. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულია 2022 წლის 11 მარტს.

5. სასესხო ხელშეკრულება - N6085239 - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებული საკრედიტო ლიმიტის მოცულობა - 62 889 ევრო; ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულია 2022 წლის 6 ივნისს.
 6. სასესხო ხელშეკრულება - N 13396856 - 26.12.2021-26.12.2022 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 7.20 პროცენტი - კრედიტის მოცულობა - 624 000 აშშ. აღნიშნული თანხა კომპანიამ მიიღო 2021 წლის 30 დეკემბერს, 30.12.2021 - 08.12.2022 პერიოდში კომპანიას ეკისრებოდა მხოლოდ დარიცხული პროცენტის გადახდის ვალდებულება და ძირითადი თანხა უნდა დაფარულიყო ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას ერთიანი გადახდით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულია 2022 წლის 8 დეკემბერს.
 7. სესხის ხელშეკრულება - N13547648.1 - 25.01.2022 - 25.01.2023 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 7.50 % - კრედიტის მოცულობა - 386 000 დოლარი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულია 2022 წლის 8 დეკემბერს.
 8. სასესხო ხელშეკრულება - N 13973728 - 15.04.2022-25.04.2023 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 9.20 პროცენტი - კრედიტის მოცულობა - 760 000 აშშ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულია 2022 წლის 8 დეკემბერს.
 9. სასესხო ხელშეკრულება - N 14462202 - 17.08.2022-25.11.2022 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 9.40 პროცენტი - კრედიტის მოცულობა - 65 000 აშშ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულია 2022 წლის 29 ნოემბერს.
 10. სასესხო ხელშეკრულება - N 14523584 - 17.05.2022-25.10.2022 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 13.40 პროცენტი - კრედიტის მოცულობა - 150 000 აშშ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულია 2022 წლის 28 ოქტომბერს.
 11. სასესხო ხელშეკრულება - N 15215827 - 20.07.2022-25.07.2023 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 11.00 პროცენტი - კრედიტის მოცულობა - 150 000 აშშ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად დაფარულია 2022 წლის 8 დეკემბერს.
 12. სასესხო ხელშეკრულება სს ლიბერთი ბანკთან - N 0117.5135014.005 - 06.12.2022 - 20.12.2027 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 9.09% - კრედიტის თავდაპირველი მოცულობა - 1 200 000 აშშ.
 13. სასესხო ხელშეკრულება სს ლიბერთი ბანკთან - N 0117.5135014.006 - 06.12.2022 - 20.12.2024 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 9.12% - კრედიტის თავდაპირველი მოცულობა - 600 000 აშშ.
 14. სასესხო ხელშეკრულება სს ლიბერთი ბანკთან - N 0117.5135014.008 - 09.12.2022 - 20.06.2023 - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 10.22% - კრედიტის თავდაპირველი მოცულობა - 200 000 აშშ.
- კომპანიის უძრავი და მოძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკა გირავნობით სალიზინგო და საკრედიტო ხელშეკრულებების უზღუნველყოფის ფარგლებში.

10. გადავადებული შემოსავალი

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული
გადავადებული შემოსავალი

2022	2021
416,762	336,697
416,762	336,697

გადავადებული შემოსავალი წარმოიშვა უკუიჯარის პირობით აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ იჯარას. გადავადებული შემოსავლის ამორტიზირებულმა ოდენობამ 2022 წელს შეადგინა 202,957 ლარი , (2021 წელს 295,632 ლარი).

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

მიღებული ავანსები

2022	2021
3,638,506	3,817,648
2,752,235	1,727,816
6,390,741	5,545,464

12. საგადასახადო ვალდებულებები

საშემოსავლო გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი

ქონების გადასახადი

მოგების გადასახადი

2022	2021
0	49,130
41,482	233,238
27095	23,210
0	53,040
68,577	358,618

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

13. ამონაგები

საქონლის რეალიზაცია

მომსახურებიდან მიღებული ამონაგები

2022	2021
19,937,550	16,663,977
2,958,127	2,400,944
22,895,677	19,064,921

14. სხვა შემოსავალი

არასაოპერაციო მოგება

2022	2021
273,137	435,864
273,137	435,864

15. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

2022	2021
1,268,606	327,243
1,268,606	327,243

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

16. სხვა ხარჯები

ჯარიმები

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი

სხვა ხარჯები

2022	2021
(50,638)	(33,313)
(798,237)	(463,355)
(1,263)	(55,034)
(850,138)	(551,702)

17. ფინანსური დანახარჯები

ბანკის სესხის პროცენტი

ფინანსური იჯარის პროცენტი

2022	2021
(387,755)	(175,015)
(437,732)	(388,204)
(825,487)	(563,219)

18. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

საქონლის მიწოდებასთან და მომსახურების გაწევასთან
დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი

მიწოდების ხარჯი

სხვა ხარჯი

ფინანსური ხარჯი

2022	2021
(20,555,052)	(16,500,825)
(1,254,542)	(1,251,147)
(103,908)	(106,811)
(850,138)	(551,702)
(825,487)	(563,219)
(23589,127)	(18,973,704)

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმოს 2022 წლის 11 აპრილამდე აკონტროლებდა აკაკი ნარმანია და შოთა ქობალია 50%-50% პროპორციით, 2022 წლის 11 აპრილიდან კი სრულად აკონტროლეს შოთა ქობალია.

აკაკი ნარმანია და შოთა ქობალია ფლობენ 50% წილს სხვა საწარმოში (შპს სიესეს, ს/კ: 404552435), რომლის აქციები საჯაროდ არ იყიდება. კომპანია სიესეს-ში ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირია შოთა ქობალია. 2022 წელს კომპანია ამწეს მიერ სიესესთან განხორციელა 3400 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდება.

შოთა ქობალია 50% წილს ფლობს სხვა საწარმოში (შპს ამწე-რაიმონდში, ს/კ: 404598510), რომლის აქციები საჯაროდ არ იყიდება. 2022 წელს კომპანია ამწეს ამწე-რაიმონდთან არ განუხორციელებია ოპერაციები.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 6)

კომპანია სიესეს

კომპანია ამწე-რაიმონდი

2022	2021
0	34,039
0	585
0	34,624

დაკავშირებული მხარეებისადმი არსებულ მოთხოვნებთან მიმართებაში აღიარებულია საექვო ვალების ანარიცხები.

შპს აშწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

20. ფინანსური იჯარის ვალდებულება

კომპანიას სამწლიანი ფინანსური იჯარით აღებული აქვს მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალება. მომავალში გადასახდელი მინიმალური საიჯარო გადასახდელები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულება -

მომავალი საიჯარო გადასახდელები

1 წელზე ნაკლები

1-დან 5 წლის ჩათვლით

5 წელზე მეტი

2022	2021
181,401	634,033
174,829	785,158
356,230	1,419,191

21. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ოფისი და სასაწყობო ბაზა. იჯარების საშუალო ვადა 2 წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივ იჯარით გათვალისწინებული

მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად

2022	2021
90,042	72,249
90,042	72,249

წლის ბოლოს კომპანიის ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებების დაუფარავი ნაშთი შეადგენს 11,424 ლარს.

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის

საოპერაციო იჯარის მთლიანი ვალდებულება -

მომავალი საიჯარო გადასახდელები

1 წელზე ნაკლები

2022	2021
152,000	45,000
152,000	45,000

22. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 402,100 ლარს. კაპიტალის გაზრდა გამოიწვია კომპანიის დამფუძნებლის მიერ კაპიტალის გაზრდამ. კომპანიის კაპიტალი სრულად არის შევსებული. (2021 წელი- 7100 ლარი)

23. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება მთლიანად

2022	2021
206,055	325,161
206,055	325,161

24. სასამართლო დავები

- საქმე: N 2/501-20: მოსარჩელე - ქლჯ გრუპ ინშაათ ანონიმ შირქეთი, მოპასუხე - შპს ამწე

აღნიშნული საქმე დასრულდა მორიგებით და 2022 წლის 7 ივნისის თელავის რაიონული სასამართლოს განჩინების თანახმად გაუქმებულ იქნა თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 29 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმადაც მოპასუხე შპს ამწეს (ს/კ: 431432540) აეკრძალა 10/09/2020 წლის NB20071382 სამეწარმეო რეესტრში მითითებულ მის საკუთრებაში არსებული მოძრავ ქონებებზე გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერში მოხსნილია აკრძალვა.

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

- **საქმე: N 2/16768-21: მოსარჩელე - შპს გიო 2010, მოპასუხე - შპს ამწე**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 ოქტომბრის განჩინების თანახმად მოსამართლემ დააკმაყოფილა მოსარჩელე შპს გიო 2010-ის (ს/კ:401943607) წარმომადგენლის შუამდგომლობა დანხის დაკისრების შესახებ სარჩელის გამოხმობის თაობაზე. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 9 ივლისის **საქმე: N 2/16768-21** განჩინებით გამოყენებული სარჩელის უპრუნველყოფის ღონისძიება, შესაბამისად გაუქმდა შპს ამწეს (ს/კ: 431432540) რიცხული უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკი, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა N212, საკადასტრო კოდი: 26.28.12.069.01.01.092, გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერში მოხსნილია აკრძალვა.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 27 ივლისს განხორციელდა დირექტორის ცვლილება და ერთპიროვნულ დირექტორად დაინიშნა შოთა ქობალია.

2023 წელს კომპანიის მიერ დამფუძნებლებზე გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 106,325 ლარი.

ანგარიშგებაზე ხელმოწერის თარიღისათვის კომპანიის კალიპატალი შემცირებულ იქნა 7100 ლარამდე.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 23 აგვისტოს.

